საჯარო სამართლის იურიდიული პირი
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
Legal Entity of Public Law
National Assessment And Examinations Center

MES 3 17 00648440

13/06/2017

ააიპ " საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)" დირექტორს,
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,
განვიხილეთ 2017 წლის 9 ივნისის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გადმოგზავნილი №624885 და ცენტრში რეგისტრირებული 2017 წლის 12 ივნისის №636603 თქვენი კორესპონდენციები გარკვეული ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ, რომ 2017 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სულ დარეგისტრდა 41 242 აბიტურიენტი.
რაც შეეხება კორესპონდენციით მოთხოვნილ ინფორმაციას, იმის თაობაზე თუ რამდენმა მოსწავლემ დაამთავრა 2017 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, მოგახსენებთ, რომ ცენტრი სრულყოფილად არ ფლობს მონაცემებს ყველა იმ მოსწავლის თაობაზე, რომელთაც საშუალო საფეხურისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონე აქვთ დაძლეული (დასრულებული აქვთ სკოლა).

რაც შეეხება ინფორმაციის მიწოდებას, რამდენმა მოსწავლემ ვერ მოიპოვა დადებითი შეფასება 2017 წლის XII კლასის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე (მათ შორის ისტორიისა და უცხო ენის გამოცდებში) გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას (იხ. წერილის დანართი).

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის N48/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესისა და პირობების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც სწავლობენ განვითარების შეფერხების (შემეცნებითი ფუნქციებისა და ადაპტური ქცევის დეფიციტის), სენსორული (სმენისა და მხედველობის) დარღვევების მიხედვით სპეციალიზებულ სკოლებში, აღნიშნული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფს გამოცდის ჩაბარებას მათ მიერ დადგენილი პროცედურების მიხედვით (ამ ნაწილში თქვენ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას ფლობს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა). ამავე მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, რომლებიც არ არიან განვითარების შეფერხების (შემეცნებითი ფუნქციებისა და ადაპტური ქცევის დეფიციტის), სენსორული (სმენისა და მხედველობის) დარღვევების მიხედვით სპეციალიზებული სკოლის

მოსწავლეები, გამოცდები ტარდება მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შერჩეულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ან ცენტრის მიერ.
ამდენად, გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია, სკოლის გამოსაშვები გამოცდების შედეგების თაობაზე, ეხება მხოლოდ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოცდებს და მასში არ არის გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული სკოლის გამოსაშვები გამოცდების შედეგები.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი **ნანა გაფრინდაშვილი**